დადგენილება:**დ-37.37211881**
თარიღი:**07/07/2021**

დადგენილება N-13

ქ. ოზურგეთი 7 ივლისი 2021 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ა.გ“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის და 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ***ადგენს***:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბი და დროშა, თანახმად N1 დანართისა.

მუხლი 2.

დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის აღწერილობები თანახმად N2 დანართისა.

მუხლი 3.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის გამოყენება და დაცვა განხორციელდეს “თვითმმართველი ერთეულის სიმბოლოთა გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 31 მაისის №363 ბრძანებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 4.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის ორიგინალების შენახვის ადგილად განისაზღვროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი.

მუხლი 5.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის დაცვის უზრუნველყოფა დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 6.

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 აგვისტოს N28 დადგენილება (www.matsne.gov.ge, ვებგვერდი 12/08/2015, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250000.35.113.016235).

მუხლი 7.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი N2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების
გერბისა და დროშის აღწერილობა

გერბი

გერბის ფარი გაკვეთილია და იყოფა 3 (სამ) ნაწილად.

I ნაწილი - მეწამულ ველზე ვერცხლის ჰერალდიკური ჯვარი;

II ნაწილი - ზურმუხტის ველზე ვერცხლის ხე გარსშემოხვეული ოქროს ვაზით, რომელსაც აქვს ოქროს მტევნები და ფოთლები.

III ნაწილი - შავი ველი (სიმაღლით ფარის 1:3), რომელსაც ზემოდან გასდევს ტალღოვანი სარტყელი;

გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი - სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხე-სიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია კარიბჭით.

ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-მეწამული ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავით ჩაწერილია გერბის დევიზი „ოზურგეთი“

დროშა

დროშა გაყოფილია ვერტიკალურად ორ მეწამულ და მწვანე ველებად. კომპოზიციის ცენტრში გამოსახულია თეთრი ჰერალდიკური ჯვარი, სიმაღლით დროშის ½; დროშის პროპორციებია: 2:3

დანართი N1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დროშა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბი